ხელშეკრულება №47
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „30“ მარტი 2016 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნატალია ზაქარეიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ავერსი-ფარმა“** შემდგომში „მიმწოდებელი” წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის რეალიზაციის დარგში **ეკატერინე ბურძენიძის** (მინდობილობის სარეგისტრაციო მოქმედების #151408207, ინდივიდუალური #55625531859715) სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 გვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ფარმაცევტული პროდუქტების (CPV - 33600000)** შესყიდვა, (შემდგომში - „საქონელი“).

1.2 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი N1-ით, რომელიც თან დაერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1105.90** (ერთი ათას ას ხუთი ლარი და 90 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა შესაბამის გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება ფორმდება და მისი გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებით (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშ–ფაქტურით) და მიღება–ჩაბარების აქტით, რომელთა გაფორმებამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის 30 ობიექტზე, საბავშვო ბაღების მისამართებზე, დანართი N2-ის შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2.უზრუნველყოს საქონლის მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2.მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1% -ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

10.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 მაისამდე.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“	**შპს „ავერსი-ფარმა“**
მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ N25	მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #148
საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510	საიდენტიფიკაცო კოდი: 211 386 695
	სს „საქართველოს ბანკი”
	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ნ: GE06BG 0000000 122932100
----------	----------
ნატალია ზაქარეიშვილი	ეკატერინე ბურძენიძე

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	ერთეულის ფასი (ლარი)
1	ვალიდოლი 0,06გრ (10 აბი)	ფირფიტა	40	0.45	18
2	კორვალოლი (25 მგ)	ფლაკონი	40	0.5	20
3	სუპრასტინი (2 ლისტი, 25 მგ)	კოლოფი	15	5	75
4	ნუროფენის (2 ლისტი, 12 აბი)	კოლოფი	69	6	414
5	თურმანიძის მალამო (25 მგ)	ტუბი	119	4	476
6	კბილის წვეთები (25 მგ)	ფლაკონი	98	1.05	102.9
ჯამი					1105.90

ნ. ზაქარეიშვილი

ე. ბურძენიძე

დანართი N2

ბაღის №	მისამართი
საბავშვო ბაღი №1	ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ №25
საბავშვო ბაღი №2	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. №5
საბავშვო ბაღი №3	ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №51
საბავშვო ბაღი №4	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. №8
საბავშვო ბაღი №6	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №22 ა
საბავშვო ბაღი №7	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №17
საბავშვო ბაღი №8	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №4 ა
საბავშვო ბაღი №9	ქ. ბათუმი, ნიკო ფიროსმანის ქ. №9
საბავშვო ბაღი №10	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №14
საბავშვო ბაღი №11	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №5
საბავშვო ბაღი №12	ქ. ბათუმი, აკაკი წერეთლის ქ. №30
საბავშვო ბაღი №13	ქ. ბათუმი, ივანე ანდრონიკაშვილის ქ. №44
საბავშვო ბაღი №14	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშავალას ქ. №83
საბავშვო ბაღი №15	ქ. ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. №65
საბავშვო ბაღი №16	ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. №113
საბავშვო ბაღი №17	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. №104
საბავშვო ბაღი №18	ქ. ბათუმი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქ. №3
საბავშვო ბაღი №19	ქ. ბათუმი, სვიშევსკის ქ. №1
საბავშვო ბაღი №20	ქ. ბათუმი, ჯემალ ქათამაძის ქ. №38
საბავშვო ბაღი №22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. №4
საბავშვო ბაღი №23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი №281
საბავშვო ბაღი №24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი №318
საბავშვო ბაღი №25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი
საბავშვო ბაღი №26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. №2
საბავშვო ბაღი №27	ქ. ბათუმი , ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
საბავშვო ბაღი №28	ქ. ბათუმი ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ №4
საბავშვო ბაღი №29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება პეტრე იბერის №1
საბავშვო ბაღი №30	ქ. ბათუმი, ბათუმი, იოსებ ნონეშვილის ქ № 60
საბავშვო ბაღი №31	ქ. ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №14
საბავშვო ბაღი №32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის II ჩიხი

ნ. ზაქარეიშვილი

ე. ბურძგნიძე